



**Georgian National
Film Center**

საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი

ცნობის ფურცელი

№3, 2013





კონკურსები

2013 წლის მესამე კვარტალში ეროვნულმა კინოცენტრმა გამოაცხადა კონკურსები შემდეგ კატეგორიებში:

1. 2013 წლის 1 აგვისტოს გამოცხადდა კონკურსი მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის პროექტის განვითარების დაფინანსებისთვის (საკონკურსო ფონდი 45 000 ლარი). შემოვიდა 12 პროექტი, დაფინანსდა 6 პროექტი.
 - სარეცხის დირიჟორი (პროდიუსერი-შპს ჯი-ეფ-ემ სტუდიო, რეჟისორი - ქეთევან ნაცვლიშვილი).
 - ფრანი (პროდიუსერი - ფი./პირი გიორგი ვასაძე, რეჟისორი - ვლადიმერ სულაქველიძე).
 - დათუნია დრუნჩა (პროდიუსერი - ფ/პირი გიორგი მარშანია, რეჟისორი - გიორგი მარშანია).
 - ჯიბის კაცი (პროდიუსერი და რეჟისორი - ფ/პირი მარიამ მიდელაური).
 - ლი-ლე (პროდიუსერი - შპს 20 Steps Productions, რეჟისორი - ნათია ნიკოლაშვილი).
 - ჯინო (პროდიუსერი - შპს ლირა პროდაქშენი, რეჟისორი - დათო კიკნაველიძე).
2. ექვთიმე თაყაიშვილის 150 წლისთავთან დაკავშირებით, 2013 წელი იუნესკომ ექვთიმეს წლად გამოაცხადა. 2013 წლის 19 აგვისტოს კი ეროვნულმა კინოცენტრმა გამოაცხადა კონკურსი „ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე“ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ან დოკუმენტურ-მხატვრული ფილმის წარმოების დასაფინანსებლად (საკონკურსო ფონდი 100 000 ლარი), კონკურსში მონაწილეობა მიიღო ხუთმა პროექტმა, სახელმწიფო სუბსიდია მიიღო მხოლოდ ერთმა პროექტმა.
 - „ცხოვრება და ღვაწლი ექვთიმე თაყაიშვილისა“ (პროდიუსერი - შპს ჭიაურელი ბრაზერს არტ სტუდიო, რეჟისორი - ანდრო ჭიაურელი).

მიმდინარე კინოპროექტები

- დასრულდა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „თემურის შვილები“ (საპროდიუსერო კომპანია - ფ/პირი ზურა ქვირია, რეჟისორი - კოტე თაყაიშვილი).
- გადაღების პროცესშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ფოლკლორი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „გამს ფიქერს“, რეჟისორი - ლევან თუთბერიძე).
- გადაღების პროცესშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მე ვარ ბესო“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს პანსიონატი, რეჟისორი - გიორგი ცქვიტინიძე).
- გადაღების პროცესშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „გარეუბანი“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ „საავტორო ფილმების სტუდია“, რეჟისორი - ზურაბ ინაშვილი).
- გადაღების პროცესშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „არხი“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ საქდოკ ფილმი, რეჟისორი - სალომე ჯაში).
- გადაღების პროცესშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბედნიერები გემოვნებაზე არ დაობენ“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „კავკასიის კინოსერვისი“, რეჟისორი - ირაკლი სოლომანაშვილი).
- გადაღების პროცესშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მთელი სიცოცხლე და ერთი დღე“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „Digital Kitchen Studio“, რეჟისორი - დავით გუჯაბიძე).
- გადაღების პროცესშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სიმინდის კუნძული“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ალამდარი“, რეჟისორი - გიორგი ოვაშვილი).
- გადაღების პროცესშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ჩეჩნეთის გზაჯვარედინი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდია ლოკოკინა“, რეჟისორი - ალექსანდრე კვატაშიძე).



- გადაღების პროცესშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ოგასავარი“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ საქდოკ ფილმი, რეჟისორი - ვახტანგ კოტეტიშვილი).
- გადაღების პროცესშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დინება“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს სოლოსოლო, რეჟისორი - ბესიკ სოლომანაშვილი).
- გადაღების პროცესშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „რელიგია, ძალაუფლება, სახელმწიფო, საქართველო 1989 – 2013წ. (პროდიუსერი და რეჟისორი - სოსო დუმბაძე).
- წარმოების პროცესშია შპს „სანგუკოს“ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „თამაში“, რეჟისორი ნიკა მაჩაიძე და პროექტი „ველური დღეების ქრონიკები“ რეჟისორი - დავით უჯმაჯურიძე).
- სამონტაჟო პროცესშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მადონა“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ლიბ ჯი“, რეჟისორი - ნინო გოგუა).
- სამონტაჟო პროცესშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „პატარძლები“ (საპროდიუსერო კომპანია -- შპს „ჯემინი“, რეჟისორი - თინათინ ყაჯრიშვილი).
- სამონტაჟო პროცესშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბრმა პაემნები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „კინო იბერიკა“, რეჟისორი - ლევან კოლუაშვილი).
- სამონტაჟო პროცესშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ეპიკი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „20 STEPS PRODUCTIONS“, რეჟისორი - ბენ ჰოპკინსი).
- სამონტაჟო პროცესშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სახლი გზის პირას“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ბასტრა ფილმს“, რეჟისორი - გიორგი ბარაბაძე), ფილმის პრემიერა დაგეგმილია სექტემბერში.
- სამონტაჟო პროცესშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კინო“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდია რეალიტი“, რეჟისორი - უტა ბერია).
- სამონტაჟო პროცესშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ციხის აღსარებები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „კინო იბერიკა“, რეჟისორი - ლევან კოლუაშვილი).



- სამონტაჟო პროცესშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბიბლიოთეკა“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ „Matchhouse FILM“, რეჟისორი - ანა ციმინტია).
- სამონტაჟო პროცესშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი“ (საპროდიუსერო კომპანია - ფ/პირი ირაკლი ბაღათურია, რეჟისორი - გელა კანდელაკი).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ამირი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „New Wave“, რეჟისორი - გაბრიელ რაზმაძე).
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი ქართულ-გერმანულ-ფრანგული პროექტი „კონკურსი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „კოროფიქერს“, რეჟისორი - დიტო ცინცაძე).
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი ქართულ-გერმანულ-უკრაინულ - ბულგარული პროექტი „ურსუს“-ი (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდიო ო“, რეჟისორი -ოთარ შამათავა).
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ძილის გაკვეთილები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს კავკასიური ფილმოდრომი, რეჟისორი - რუსუდან პირველი).

სცენარიზ გაწვითარების პროცესშია შემდეგი პროექტები

- „ვენეცია“ (განმცხადებელი - შპს „ნიკე სტუდია“, სცენარის ავტორი - რუსუდან ჭყონია).
- „სხვა გზა“ (განმცხადებელი - ფ/პირი „გურამ მეგრელიშვილი“, სცენარის ავტორი - ეკატერინე ტოგონიძე).
- „წერილი შვილს“ (განმცხადებელი - შპს „პალესტრა“, სცენარის ავტორები - თემურ ცავა, კოტე ჯანდიერი).
- „ტერცო მონდო“ (განმცხადებელი - შპს „ახალი ქართული ფილმი“, სცენარის ავტორი - მერაბ კოკოჩაშვილი).
- „გადარჩენის მთა“ (განმცხადებელი - ფ/პირი „გიორგი ვასაძე“, სცენარის ავტორი - დათო ჯანელიძე).
- „აგარაკი“ (განმცხადებელი - შპს „სინტექი“, რეჟისორი - ელდარ შენგელია).





„გრძელი ნათელი დღეები“ – წარმატებული ქართული ფილმი, რომლის შესაძლოა ოსკარზე მოხვდეს

19 სექტემბერს კინოთეატრებში „ამირანსა“ და „რუსთაველში“ ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის დებიუტის „გრძელი ნათელი დღეების“ თბილისური პრემიერა გაიმართა. ფილმი 90-იანი წლების საქართველოზე და თინეიჯერი გოგონების პრობლემებზე ქართველმა მაყურებელმაც ისეთივე ოვაციით მიიღო, როგორც აუდიტორიამ საერთაშორისო ფესტივალებზე. საპრემიერო კვირაში ფილმის შემდეგ იმართებოდა დისკუსიები, რომლებსაც უძღვებოდნენ კინოკრიტიკოსები, ხელოვანები და ფილოსოფოსები, მათ შორის გოგი გვახარია, რატი ამაღლობელი, გიორგი მაისურაძე, სალომე ასათიანი, ლევან გიგინეიშვილი და სხვები. ფილმს კინოკრიტიკოსების მხრიდან ძალიან დადებითი გამოხმაურება მოჰყვა, დაიწერა არაერთი დადებითი რეცენზია. ბერლინალეზე წარმატებული პრემიერის შემდეგ ფილმი აგრძელებს დატვირთულ საფესტივალო ცხოვრებას, ფილმი სახელმწიფო სუბსიდიით არის სექმნილი. ის საქართველომ წარადგინა ამერიკული კინოაკადემიის - ოსკარის ნომინანტებს შორის მოსახვედრად. საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ნომინაციისთვის, ეროვნული კინოცენტრის მიერ შედგენილმა კომისიამ სწორედ „გრძელი ნათელი დღეები“ შეარჩია.



ლოკარნოს 66-ე კინოფესტივალი და ფოკუსი კავკასიის რეგიონზე

2013 წელს, ლოკარნოს საერთაშორისო კინოფესტივალზე (9-13 აგვისტო) საქართველო საკმაოდ მასშტაბურად იყო წარმოდგენილი.

ფესტივალის სექციამ Open Doors არაერთ ქართველ მონაწილეს უმასპინძლა. სექციამ ფოკუსი ამჯერად კავკასიის რეგიონზე გააკეთა. ფესტივალს დაესწრნენ ეროვნული კინოცენტრის დირექტორი - ნანა ჯანელიძე და საქართველოს წარმომადგენელი ევრიმაჟი - თამარ ტატიშვილი. ეროვნული კინოცენტრი ლოკარნოს კინოფესტივალთან უკვე 2 წელია თანამშრომლობს და ღრმა საქმიანი ურთიერთობა აკავშირებს. ფესტივალის შვეიცარიელი წარმომადგენლები 2012 წელს თბილისში სამუშაო ვიზიტითაც იმყოფებოდნენ.

ლოკარნოს ფესტივალზე ინდუსტრიულ სექციაში „Open Doors“ მონაწილეობა მიიღეს ქართველმა კინემატოგრაფისტებმა პროექტებით:

1. „სხვისი სახლი“ - რუსუდან გლოზაძე
2. „ხიბულა“ - გიორგი ოვაშვილი
3. „მადონა“ - ნინო გოგუა
4. „ჩეჩნეთის გზაჯვარედინი“ - ალექსანდრე კვატაშიძე
5. „ძილის გაკვეთილები“ - რუსუდან პირველი

წელს ლოკარნოს ფესტივალმა პატივი მიაგო ქართველ რეჟისორს - ოთარ იოსელიანს, რომელსაც გადაეცა სპეციალური პრიზი Pardo alla carriera, კინემატოგრაფიის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

ქართული კინოს წარმატება სარაევოს მე-19 საერთაშორისო კინოფესტივალზე

2013 წლის აგვისტოში სარაევოს მე-19 საერთაშორისო კინოფესტივალზე საქართველო უკვე მესამედ იყო არაერთ სექციაში წარმოდგენილი. კინემატოგრაფისტებთან ერთად, ფესტივალს დაესწრო ეროვნული კინოცენტრის დირექტორი - ნანა ჯანელიძე.

ფესტივალის კონკურსში ნაჩვენები იყო ნანა ექვთიმშიშვილის და სიმონ გროსის უკვე წარმატებული ფილმი „გრძელი ნათელი დღეები“, რომელმაც ფესტივალზე დიდი წარმატება და სამი მთავარი პრიზი დაიმსხურა - საუკეთესო ფილმისათვის პრიზი: „სარაევოს გული“ და ფულად ჯილდო 16 000 ევროს ოდენობით,

საუკეთესო სამსახიობო შესრულებისათვის დაჯილდოვდნენ მთავარი როლის შემსრულებელი ახალგაზრდა მსახიობები - ლიკა ბაბლუანი და მარიამ ბოკერია. მათ გადაეცათ პრიზი „სარაევოს გული“ და ფულადი ჯილდო 2 500 ევროს ოდენობით. ასევე, ფილმს მიენიჭა არტჰაუსის საერთაშორისო კინოთეატრების გაერთიანების ჯილდო. (C.I.C.A.E. Award).

ასევე ფესტივალის სპეციალურ სექციაში გაიმართა თინათინ გურჩიანის არაერთი პრიზის მფლობელი დოკუმენტური ფილმის „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“ ჩვენება.

სექცია „სინელინკში“ რუსუდან გლურჯიძის პროექტმა „სხვისი სახლი“ აიღო პრიზი.

დოკუმენტური ფილმების სექციაში „Docu Rough Cut Boutique“ ეკა პაპიაშვილის პროექტი „ადამიანი მიჯნიდან“ სამი პრიზით დაჯილდოვდა.

Sarajevo Talent Campus-ში მონაწილეობდნენ ასევე დამწყები ქართველი კინემატოგრაფისტები ქეთევან კალანდარიშვილი და ლევან ლომჯარია.

ეროვნულ კინოცენტრსა და სარაევოს კინოფესტივალს შორის 2011 წელს მიღწეული შეთანხმების შედეგად, 2012 წლიდან ფესტივალის ყველა ინდუსტრიული პროგრამა გაიხსნა პოტენციური ქართველი მონაწილეებისთვის. ასევე კონკურსები. ქართული განაცხადები მიიღება ისეთ პროგრამებში, როგორიცაა „CineLink“, „Sarajevo Talent Campus“ და „Work in Progress“.



ეროვნული კინოცენტრი ბათუმის საავტორო კინოს მე-8 საერთაშორისო ფესტივალზე

ბათუმის საავტორო კინოს მე-8 საერთაშორისო კინოფესტივალი 2013 წლის 15-22 სექტემბერს ჩატარდა. ფესტივალის მხარდამჭერი ტრადიციულად იყო ეროვნული კინოცენტრი, რომელიც ასევე აქტიურად არის ჩართული საფესტივალო ინდუსტრიულ მხარეში.



BIAFF 2013 – ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალი

22 სექტემბერს BIAFF 2013-ის დახურვის ცერემონიაზე საერთაშორისო ჟიურის წევრებმა გამოავლინეს გამარჯვებულები სხვადასხვა ნომინაციაში.

მხატვრული ფილმების საერთაშორისო კონკურსი:

- საუკეთესო მხატვრული ფილმი - „თოვლის მოსვლამდე“- ჰიშამ ზამანი. ნორვეგია, გერმანია, ერაყი. 2013 წ. 101 წთ.
- საუკეთესო რეჟისორი - პეტერ ბროსენსი და ჯესი კავუდვორთი ფილმისთვის „მეხუთე სეზონი“. ბელგია/საფრანგეთი/ნიდერლანდები 2012
- საუკეთესო მსახიობი ქალი - მეჰთაბ კერამატი ფილმისთვის „მეოთხე შვილი“ ვაჰიდ მუსაიანი. ირანი. 2013
- საუკეთესო მსახიობი მამაკაცი - სერჟ ავედიკიანი ფილმისთვის „ფარაჯანოვი“ სერჟ ავედიკიანი, ელენაფეტისოვა. უკრაინა/საფრანგეთი/საქართველო/სომხეთი 2013
- ჟიურის პრიზი - „შეავსე სიცარიელე“. რამა ბურნშტაინი, ისრაელი. 2013

დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო კონკურსი:

- საუკეთესო დოკუმენტური ფილმი - „მკვლელობის აქტი“ ჯოშუა ოფენჰაიმერი. დანია, ნორვეგია, დიდი ბრიტანეთი, 2012
- ჟიურის პრიზი - „ხუთი გატეხილი კამერა“ ემად ბურნატი, გაი დავიდი. პალესტინა, საფრანგეთი, ისრაელი, ჰოლანდია. 2012 წ

მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო კონკურსი

- საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმი - „მირუნა“. პიოტრ სულკოვსკი. პოლონეთი. 2012წ
- ჟიურის პრიზი - „აურზაური“ ჯონი ბერინგტონი. დიდი ბრიტანეთი. 2013წ

Microwave's MICROSCHOOL

Film London-მა 16-18 სექტემბერს ჩაატარა ტრენინგი ქართველი კინემატოგრაფისტებისთვის, რომელიც ბათუმის მე-8 კინოფესტივალის ფარგლებში გაიმართა. პროგრამა და აფინანსა დიდი ბრიტანეთის საბჭომ. საპილოტე პროგრამა განხორციელდა საქართველოს ეროვნულ კინოცენტრთან და ბათუმის არტჰაუს ფილმების საერთაშორისო ფესტივალთან პარტნიორობით. პროექტის კოორდინატორია საქართველოს წარმომადგენელი ევრიმაჟში - თამარ ტატიშვილი.

პროგრამა მოიცავდა ინტენსიურ სამდღიან ტრენინგს. კინემატოგრაფისტთა ტრენინგი ჩაატარეს მოწვეულმა მენტორებმა - Film London-ის Microwave's Microschool-ის პროდიუსერებმა და სცენარის განვითარების სპეციალისტებმა. Microschool International გამიზნულია კინემატოგრაფისტთა ჯგუფებისთვის, რომლებსაც უკვე შექმნილი აქვთ კინემატოგრაფიული პროდუქცია და აქვთ მცირე ბიუჯეტით ფილმის შექმნის პოტენციალი.

ტრენინგში მონაწილეობისთვის შერჩეული იყო 6 ქართული პროექტი: „ინტერვალი“ (ვაკო კირკიტაძე, ნინო ჯინჭარაძე), „ხვალ“ (ქეთი მაჭავარიანი, ნენე კვინიკაძე), „ცივი ჰაერის სიმხურვალე“ (ბესო და ირაკლი სოლომანაშვილები, ვოვა კაჭარავა), „ძილის გაკვეთილები“ (რუსუდან პირველი, ირინე ჟორდანი, ალექსანდრე ჩხაიძე), „სხვისი სახლი“ (რუსუდან გლურჯიძე, ზურა მაღალაშვილი)

პროგრამის გავლის შემდეგ, მონაწილეებს აქვთ კარგად განვითარებული მხატვრული ფილმის პროექტი.

ქართულ-თურქული კოპროდუქციის პლატფორმა

BIAFF-ის ფესტივალის ფარგლებში ასევე ჩატარდა ქართულ-თურქული კოპროდუქციის პლატფორმა. გაიმართა შეხვედრები ქართველ და თურქ პროდუსერებს/რეჟისორებს შორის. შეხვედრას ასევე, დაესწრნენ ეროვნული კინოცენტრის, სტამბულის საერთაშორისო კინოფესტივალის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტისა და კულტურის სამინისტროს („აჭარის რეგიონალური კინოფონდი), თურქეთის კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები.

ქართულ-თურქული კოპროდუქციის პლატფორმის მთავარი მიზანია, ურთიერთობებისა და კავშირის გაუმჯობესება თურქ პროდუსერებს, და ქართველ რეჟისორებსა და პროდუსერებს შორის, ასევე ერთობლივი კინოპროექტების რეალიზაციის ხელშეწყობა.

თურქეთის მხრიდან სხდომას დაესწრნენ აზიზ ეტანი - სტამბულის საერთაშორისო კინოფესტივალის დირექტორი, გული ნუსტინი - „Meeting on the Bridge“ (სტამბულის საერთაშორისო კინოფესტივალის ინდუსტრიული სექცია) მენეჯერი, მესუთ ერკული - თურქეთის კინოდეპარტამენტის დირექტორი (<http://www.sinema.gov.tr>) სევილ დემირჩი - პროდიუსერი (თურქეთის პროდუსერების ასოციაცია), გუნერ გულენ - პროდიუსერი, Dunya Yalan Yapim, Ozcan Alper-Nar Film, ბერტ რანგლოსეტი - პროდიუსერი, Caravan Film, იესიმ უსტაოღლუ - რეჟისორი (Ustaoglu Film), ასლი ოზგე.

შეხვედრები ორგანიზებული იყო სტამბულის კინოფესტივალთან თანამშრომლობით და ეროვნული კინოცენტრის ხელშეწყობით.

ქართული მოსწავლეები ჯიფონის საბავშვო კინოფესტივალზე, იტალიაში

ეროვნული კინოცენტრის ინიციატივით, იტალიაში, ჯიფონის ბავშვთა კინოფესტივალზე ივლისში წელს მონაწილეობა მიიღო სამმა ქართველმა მოსწავლემ: ელენე ლაბაძემ, თემურ მაღრაძემ და ირაკლი გოგიბერიძემ.

ჯიფონის საერთაშორისო კინოფესტივალი 1971 წლიდან ყოველწლიურად იმართება იტალიის სოფელ ჯიფონიში. ფესტივალს დიდი ისტორია აქვს და მასში მხოლოდ ბავშვები მონაწილეობენ.



წლებანდელი ფესტივალის მონაწილეები კინოცენტრის მიერ სხვადასხვა სკოლიდან ორი მთავარი კრიტერიუმის მიხედვით შეირჩნენ: კინოს სფეროში გარკვეული ცოდნა და ინგლისური ენის კარგად ფლობა.

ქართველი ბავშვები ფესტივალის ჟიურის წევრები იყვნენ და მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის 16+ და 13+ ჟიურის წევრების პროგრამებში.

მათი ძირითადი მოვალეობა იყო ფილმების ნახვა და ფილმების განხილვაში მონაწილეობის მიღება. გარდა ძირითადი მოვალეობისა, ჯიფონიში ჩატარდა კულტურული ღონისძიება, შეხვედრები სხვადასხვა კინოპროფესიონალებთან.

საქართველო ჯიფონის ფესტივალზე წელს პირველად მონაწილეობდა.

ფესტივალის მსვლელობისას ბავშვები იტალიურ ოჯახებში ცხოვრობდნენ.

ეროვნული კინოცენტრის მისიაა, თვალი ადევნოს ფესტივალის მსვლელობას და მოამზადოს ნიადაგი სამომავლოდ მსგავსი ფესტივალის საქართველოში ჩასატარებლად.

ნიქოზის ანიმაციური ფილმების მესამე საერთაშორისო ფესტივალი

ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის ინიციატივით, საქართველოს კულტურის სამინისტროსა და ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით 2-8 სექტემბერს, სოფელ ნიქოზში ჩატარდა ანიმაციური ფილმების მესამე საერთაშორისო ფესტივალი.

ფესტივალზე მოწვეულნი იყვნენ ცნობილი რეჟისორ-ანიმატორები რუსეთიდან, გერმანიიდან, ბულგარეთიდან, პოლონეთიდან, აშშ-დან და ბელარუსიდან, რომლებიც წარმოადგინეს თავიანთი შემოქმედება და ჩაატარეს საინტერესო მასტერკლასები.

ნიქოზის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალის მეგობრები არიან დრეზდენის და სუზდალის ანიმაციური ფილმების ფესტივალები, რომლებიც ნიქოზში წარმოადგენენ ბოლო წლებში გამარჯვებულ ფილმებს.

ნიქოზის ფესტივალი გაიხსნა ცნობილი იტალიელი სცენარისტის, ტონინო გუერას ნახატების გამოფენით. ფესტივალის გახსნის დღეს ნაჩვენები იყო ნიქოზის 2008 წლის ტრაგედიის თემაზე გერმანიაში მოღვაწე ანიმატორების მიერ შექმნილი ანიმაციური ფილმი და ნიქოზის სახელოვნებო სკოლის მოწაფეთა მიერ შექმნილი ანიმაციური ფილმი „მთესვარი“ (სახარების მიხედვით).

ნიქოზის ფესტივალზე ასევე გაიმართა „თბილისი - 2013, თანამედროვე მუსიკის საღამოები“. კომპოზიტორი თეიმურაზ ბაკურაძე; პიანისტები ნანა ხუბუტია, თამარ ჟვანია; ანჩისხატის ტაძრის მგალობელთა გუნდი.



Mini EAVE საქართველოში – პროექტის განვითარების ტრენინგ – პროგრამა

13-15 ივლისს, თბილისში, ეროვნული კინოცენტრისა და ევროპული აუდიო ვიზუალური პლატფორმის EAVE-ს ორგანიზებით, ქორთიარდ მარიოტში კინოპროექტის განვითარების ტრენინგ-პროგრამა Mini EAVE 2013 ჩატარდა. ტრენინგ-პროგრამა შედგება 3 დღიანი სემინარისა და ონლაინ-სესიისგან.

Mini EAVE-ს სემინარი ჩაატარეს გამოცდილმა ექსპერტებმა კინოს სფეროში: ჟაკ აკოტი (საფრანგეთი) კონსულტანტი სცენარის განვითარების დარგში, იანი ტილჟესი (ლუქსემბურგი), EAVE-ს ხელმძღვანელი სასწავლო დარგში / პროდიუსერების ტრენერი, რობერტო ოლა (საფრანგეთი) - ევროპის საბჭოს კინოს მხარდაჭერის და განვითარების ფონდის - „ევრიმაჟის“ აღმასრულებელი დირექტორი, რომა ნაკბეჰმეტნედჟადი (გერმანია) - პროექტის წარდგენის ექსპერტი (pitching).

ტრენინგ პროგრამა Mini EAVE საქართველოში მესამედ ჩატარდა.

საერთაშორისო ექსპერტთა კომისიამ MINI-EAVE-ს ტრენინგში მონაწილეობის მისაღებად შეარჩია შემდეგი ქართული პროექტები და უპროექტო მონაწილეები:

- 1) „ადას კინო“ პროდიუსერი - ირაკლი ბაღათური; სცენარის ავტორი - მაკა კუკულავა;
- 2) „Terzo Mondo“ პროდიუსერი - ნიკოლოზ აბრამაშვილი; სცენარის ავტორი, რეჟისორი - მერაბ კოკოჩაშვილი;
- 3) „ათინათი“ პროდიუსერი - ლელა აკიაშვილი; სცენარის ავტორი, რეჟისორი - ლალი კიკნაველიძე;
- 4) „თეთრი კურდღელი“ პროდიუსერი - ნიკოლოზ გუგუშვილი; სცენარის ავტორი, რეჟისორი - ვაკო კირკიტაძე;
- 5) „დედე“ პროდიუსერი - ვლადიმერ ჩიხრაძე; სცენარის ავტორი, რეჟისორი - მარიამ ხაჭვანი;

უპროექტო მონაწილეები: ალექსანდრე ქორიძე, ეკა იოსელიანი, ლევან დვალი, ნინო ჯინჭარაძე, ვატო ქავთარაძე, ვლადიმერ მოქერია.

„კინოჩვენებაები ღია სის ქვეშ“

ეროვნული კინოცენტრი 2006 წლიდან, ქართული კინოს პოპულარიზაციის მიზნით, აწყობს გასვლით კინოჩვენებებს რეგიონებში ღია ცის ქვეშ. წელს ზაფხულში, ერთი კვირის განმავლობაში ჩვენებები მოეწყო სვანეთში, მესტიასა და 4 სოფელში: ჭუბერი, უშგული, ლატალი, ბეჩო.

კინოჩვენებებზე წარმოდგენილი იყო როგორც ბოლო დროს შექმნილი ქართული ფილმები, ასევე კინოკლასიკა. ფილმების ჩვენება რეგიონებში და კინოკლუბების პრინციპის დანერგვა ეროვნული კინოცენტრის ერთ-ერთი პრიორიტეტია.



კინოგანათლება

ეროვნული კინოცენტრის ერთ-ერთი პრიორიტეტია საგანმანათლებლო პროექტების მხარდაჭერა. ამ მიმართულებით ზაფხულში დაფინანსდა ორი პროექტი „კინომოყვარულთა საერთაშორისო საზაფხულო ბანაკი“ და „ზაფხულის კინოსკოლა“.

„კინომოყვარულთა საერთაშორისო საზაფხულო ბანაკის“ ორგანიზატორია „პიონერფილმი“ და მისი ხელმძღვანელი გრიშა ჩიგოგიძე. პროექტის იდეას წარმოადგენს ახალგაზრდა კინომოყვარულთათვის საზაფხულო ბანაკის მოწყობა, რაც ხელს უწყობს სკოლის ასაკის ბავშვებს შორის კინოხელოვნების პოპულარიზაციას. პროექტში მონაწილეობისათვის შერჩეული იყო 30 ბავშვი, როგორც საქართველოდან, ასევე უკრაინის კინომოყვარულთა სტუდიიდან.

2 კვირის განმავლობაში ბავშვებს უტარდებოდათ სალექციო კურსი, მუშაობდნენ სცენარებზე და საბოლოოდ გადაიღეს რამოდენიმე 5 წუთიანი ფილმი.

„ზაფხულის კინოსკოლის“ მთავარი იდეაა, ეროვნული კინოინდუსტრიისთვის ახალგაზრდა პროფესიული კადრების მოძიება, თეორიული და პრაქტიკული საგანმანათლებლო კურსის მეშვეობით, მომავალ პროფესიონალებში უნარჩვევების ფორმირება. მიზანი - ახალი სახელების აღმოჩენა.

პროექტი გულისხმობს სხვადასხვა პროფესიის სტუდენტებისთვის თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს. თეორიისა და კინოს უნივერსიტეტიდან, სამხატვრო აკადემიიდან და კონსერვატორიიდან. 90 სტუდენტს მიეცა შესაძლებლობა მიეღო მონაწილეობა თეორიულ და



პრაქტიკულ ტრენინგში, შეექმნა სცენარი და მოემზადებინა პროექტები 2014 წელს მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების გადასაღებად.

თვითოვალ გადამღებ ჯგუფს უნდა ჰყოლოდა რამოდენიმე პროფესიონალი კონსულტანტი, რეჟისორი, ოპერატორი, მხატვარი, პროდიუსერი და სხვ. რომლებიც პროექტის მიმდინარეობის პერიოდში ადგილზე, პრაქტიკაში ასწავლიდნენ სტუდენტებს მუშაობის სპეციფიკას.

ასეთი პროექტი პირველად განხორციელდა 2008 წელს საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირთან არსებული კომპანია “სინეტექსი”, ეროვნული კინოცენტრის და სააქციო საზოგადოება “ქართული ფილმის” და მედიასახლის ინიციატივით.

პროექტის ფარგლებში დასრულებული იყო შვიდი ფილმის გადაღება, რომლებიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალების პროგრამებში. მათ შორის აღსანიშნავია თორნიკე ბზიავას „აპრილის სუსხი“, რომელიც მრავალი საერთაშორისო პრიზის მფლობელია.

საფრანგეთის კინოცენტრის პრეზიდენტი - ერიკ გარანდო თბილისში

თბილისის ოფიციალური ვიზიტით საფრანგეთის კინოცენტრის პრეზიდენტი - ერიკ გარანდო ეწვია.

12 ივლისს სასტუმრო რედისონ ბლუ ივერიაში, ქართველი კინემატოგრაფისტებისთვის გაიმართა ფრანგული კინოს მხარდაჭერის სისტემის პრეზენტაცია.

მოხსენების შემდეგ, ერიკ გარანდომ თამარ ტატიშვილი - საქართველოს წარმომადგენელი „ევრიმაჟში“, საფრანგეთის სახელმწიფოს სახელით, დააჯილდოვა შვეალიეს (Chevalier des Arts et des Lettres) საპატიო ტიტულით. ეს ჯილდო საფრანგეთის კულტურის სამინისტრომ 1957 წლის 2 მაისს დააწესა. შვეალიეს წოდება საფრანგეთის სახელმწიფოსგან ენიჭება იმ ადამიანებს, ვისაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვს კულტურაში და ხელოვნების სხვადასხვა დარგის განვითარებაში. თამარ ტატიშვილმა ჯილდო ქართულ-ფრანგული კულტურული ურთიერთობების გაღრმავებისთვის მიიღო.

ერიკ გარანდო ევროპულ კინო ინდუსტრიაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და მნიშვნელოვანი ფიგურაა. ის საქართველოში ეროვნული კინოცენტრის მოწვევით ჩამოვიდა. 2007 -2010 წლებში ის იყო საფრანგეთის პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის მრჩეველი კულტურის დარგში. 2011 წლიდან დაინიშნა საფრანგეთის კინოცენტრის - CNC-ის (Centre National du Cinema et de l'Image Animée) პრეზიდენტად.



www.gnfc.ge

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

ზ. გამსახურდიას სანაპირო #4
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00
ფაქსი: +995 32 299 91 02

info@gnfc.ge

www.gnfc.ge

www.filmcommission.ge